✠

მითი თუ რეალობა?

ბატონმა ოთარ ზოიძემ, რომელიც ყველასათვის ცნობილია პროფესიული და პიროვნული-ადამიანური კეთილსინდისიერებით, კარგად იცის, რომ დასაბუთება წინ უნდა უსწრებდეს დასკვნას. ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით იგი, სამწუხაროდ, საპირისპიროდ ცვლის ამ თანამიმდევრობას და ვიდრე კანონის ოპონენტების ხედვას განიხილავდეს და დასაბუთებულად გააკრიტიკებდეს, მათ პოზიციას სამგზის უწოდებს „მითს“, რითიც, სამწუხაროდ, თავის მიკერძოებულობას გამოხატავს.

საკითხის განხილვას შორიდან დავიწყებ და ბოლოს დასკვნაც ცხადი იქნება. ადამის ცოდვით დაცემას კაენის მიერ ძმის მოკვლა მოჰყვა. კაენს ამის გამო ცოდვის შემაკავებელი სინანული არ გაუჩნდა და მის მოდგმაში დაიწყო ძალადობის ესკალაცია. სეითის და კაენის (მართალთა და უსჯულოთა) მოდგმათა აღრევის შედეგად გამრავლდა უსჯულოება: „ნახეს რა ღვთის ძეებმა ადამიანთა ასულები, რომ მშვენიერნი იყვნენ, მოიყვანეს <u>თავისთვის</u> ცოლებად ყველა, <u>ვინც ამოირჩიეს</u>. ...შედიოდნენ ღვთის ძეები ადამიანთა ასულებთან და <u>შობდნენ თავისთვის</u>... და იხილა უფალმა ღმერთმა, რომ გამრავლდა ადამიანთა უკეთურება ქვეყანაზე“ (დაბ.6,2,4-5). ამ პერიოდს, რასაც შედეგად წარღვნა მოჰყვა, დღევანდელი ტერმინებით შეიძლება ეწოდოს ლიბერალიზმის ეპოქა. მართალი კაცის მიერ უფალმა შეიწყალა სოფელი და გაგრძელდა სიცოცხლე, მაგრამ ცოდვისაკენ მიდრეკილებამ, რაც ადამიანმა მემკვიდრეობით მიიღო, თავისი შედეგი გამოიღო: „და ადამიანებმა თქვეს: მოდით, <u>ავაშენოთ ჩვენთვის</u> ქალაქი და გოდოლი, რომლის <u>თავი იქნება ცამდე და შევიქმნათ ჩვენი სახელი“</u> (დაბ.11,4). ეკონომიკურმა და ტექნიკურმა განვითარებამ ადამიანში გააღვივა სურვილი ღმერთთან გატოლებისა, მაგრამ ღმერთის გარეშე. ადამიანი შექმნილია ღვთის ხატებისამებრ და ღვთის მსგავსებისამებრ, რათა თავისუფალი ნებით ღმერთს ემსგავსოს სათნოებათა ერთობლიობით: სიმართლით, სიწმიდით, მოწყალებით, მიმტევებლობით, სულგრძელობით, სიყვარულით... რაც მხოლოდ ღმერთთან ერთობით არის შესაძლებლი. გველის კარნახით ადამიანში გაჩნდა სურვილი ღმერთთან თვითნებურად გატოლებისა: „რომელ დღესაც შეჭამთ ნაყოფს მისგან (აკრძალული ხისგან), აგეხილებათ თქვენ თვალები და <u>იქნებით, როგორც ღმერთები,</u> შემცნობი კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ.3,5). ისტორიული მოვლენები სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით მეორდება, რადგან ადამიანი ღმერთთან ერთობის გარეშე არ იცვლება. ჩვენი დროის ნიშნებთან შედარების მიზნით საღმრთო ისტორიიდან კიდევ ერთ მაგალითს გავიხსენებ და შემდეგ განვიხილავ XX საუკუნის ცხოვრების ტენდენციებს. „<u>ამოირჩია თავისთვის</u> ლოთმა იორდანის მთელი შემოგარენი და <u>გამოემართა ლოთი აღმოსავლეთიდან</u> (ანუ დაშორდა თავის აღმზრდელს, მართალ აბრაამს, იორდანის მხარის სიმდიდრის გამო)... ხოლო ადამიანები სოდომში ძლიერ ბოროტნი და ცოდვილნი იყვნენ ღვთის წინაშე“ (დაბ.13,11,13). თვითნებობასა და ხიბლს ცოდვა და ბოროტება მოჰყვება. ბოროტება აგრესიულია სიკეთის, სიმართლის და სიწმიდის მიმართ. „სად არიან კაცები (ანუ ანგელოზები), რომლებიც მოვიდნენ შენთან ღამით? გამოიყვანე ისინი ჩვენთან, რათა თანავეყოთ მათ“ (დაბ.19,5). ლოთმა სოდომელებს სტუმრების ნაცვლად თავისი ასულები შესთავაზა და პასუხად მიიღო: „გადი იქით. მოხვედი <u>მწირობისთვის თუ სიმართლის განსასჯელად</u>? ამიტომ ახლა შენ უფრო გიბოროტებთ, ვიდრე მათ. – და მძლავრობდნენ კაცზე, ლოთზე, ძლიერ“

(დაბ.19,9). ასეთია მართალი ადამიანის ხვედრი იმ საზოგადოებაში, რომელშიც მრავლდება უსჯულოება. საზოგადოებაში უსჯულოების გამრავლების ხელშემწყობი პირობა არის ლიბერალური დამოკიდებულება უსჯულოების მიმართ, რომლის სათავეც არის ჭეშმარიტი რწმენის გარეშე ცხოვრება – ურწმუნოება და კერპთაყვანისცემა. პავლე მოციქული ამასთან დაკავშირებით ამბობს: „მეცნიერება იგი ღმრთისა ცხად არს მათ შორის, რამეთუ ღმერთმანვე გამოუცხადა მათ (19)... რამეთუ იცოდეს ღმერთი და არა ღმრთეებრ ადიდებდეს მას, გინა ჰმადლობდეს, არამედ ამაო იქმნეს გულისზრახვითა მათითა, და დაუბნელდა უგულისხმო იგი გული მათი. იტყოდეს თავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს (21-22)... ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან გულის-თქუმასა გულთა მათთასა არაწმიდებად და გინებად ხორცთა მათთა მათ თანა (24)... ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა, რამეთუ დედათა მათთა გარდაცვალეს ბუნებისა იგი წესი არაბუნებად. ეგრეთცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათა, განხურდეს გულისთქუმითა მათითა ურთიერთარს. მამანი მამათა თანა სარცხვინელსა იქმოდეს (26-27)... არა ხოლო ამას იქმან, არამედ თანაცა სათნო-ეყოფვიან მოქმედთა მათ (32)“ (რომ.1,19-32).

აღორძინების ხანიდან დაწყებული, ურწმუნოების ტალღა XVIII-XXს.ს. ევროპიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა მეცნიერების, კულტურისა და სოციალურ სფეროში. XXს.-ის 40-იანი წლების ბოლოს ექიმთა მსოფლიო ასოციაციამ ჰიპოკრატეს ფიციდან ამოიღო მუხლები, რომლებიც ექიმს უკრძალავდნენ სიკვდილის დამაჩქარებელი წამლის მიცემას და სიცოცხლის შეწყვეტისათვის გამიზნულ ქმედებას. ამის შემდეგ დაიწყო აბორტების ესკალაცია, განვითარდა კონტრაცეპტივების ინდუსტრია, მისაღები გახდა ევთანაზია. XXს.-ის 60-იანი წლების ბოლოს ექიმთა მსოფლიო ასოციაციამ ერთსქესიანთა შორის სქესობრივი კავშირი (უფრო სწორია, ვუწოდოთ „ორგაზმული ურთიერთობა“) ნორმად მიიჩნია და ამის შემდეგ დაიწყო ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა პრესით, კინოფილმებით, ტელეგადაცემებით, ინტერნეტით, გეიაღლუმებით. მედიცინაში ცნობილია, რომ სექსუალური გადახრები, როგორც ფსიქოჰორმონალური პათოლოგია და ანომალია, მოსახლეობაში 1-2%-ს არ აღემატება. პროპაგანდისტული კამპანიის შედეგად არაბუნებითი სექსუალური ურთიერთობები სოციალურ მოვლენად იქცა და ზოგიერთ ქვეყანაში 30%-მდე გაიზარდა. ამ გაუკუღმართებული ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია სექსუალური აღზრდის პროგრამებშიც კი შეიტანეს, ე.ი. არასრულწლოვანთა დაცვა უზნეობისგან ამ შემთხვევაში იქ აღარ ხდება, რადგან გაუკუღმართება ამ ქვეყნებში უზნეობად არ ითვლება.

სოდომურ ცოდვათა ცხოვრების ნორმად აღიარებამ შედეგი გამოიღო. ცნობილ ფაქტებს გაგახსენებთ: რისთვისაც ინგლისის სასამართლომ ოსკარ უაილდს პატიმრობა მიუსაჯა, ერთი საუკუნის შემდეგ იმავე ცოდვის ჩამდენ კაცს ინგლისის დედოფალმა რაინდის წოდება უბოძა. რიგ ქვეყნებში ერთსქესიანთა თანაცხოვრება მათი სურვილის შემთხვევაში ქორწინებად იქნა აღიარებული. ამგვარ ქორწინებაში მყოფ ორ მამაკაცს ან ორ დედაკაცს უფლება მიეცა, მათი სურვილის შემთხვევაში, ბავშვის შვილად აყვანისა ისე, რომ ბავშვის ნებას არავინ კითხულობს და არც მის უფლებებს იცავს ვინმე.

არსებობს ფსიქოლოგების დაკვირვებები და დასკვნები, სტატისტიკური მონაცემები ამგვარი „ოჯახების“ წევრების ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არც ეს აწუხებთ დიდად იმათ, ვინც პასუხისმგებელია, რომ დაიცვას ერის ჯანსაღი ცხოვრების პირობები. უსჯულოების გამრავლებისა და ექსპანსიის მსოფლიოში მიმდინარე პროცესი, ფიქრობთ, რომ საქართველოს არ შეეხება?

საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, თუმცა ქვეყნის კონსტიტუციით გარანტირებულია ყველა ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებები; ასევე დარგობრივი კანონები – შრომის, ჯანდაცვის, სისხლის სამართლის – ითვალისწინებენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვას. დამატებითი კანონის მიღება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუცია და ზემოთ ჩამოთვლილი კანონები არასაკმარისად იცავენ მათ მოქალაქეობრივ უფლებებს. ამ შემთხვევაში ჰომოსექსუალების დისკრიმინაციის ამა თუ იმ ნიშნით არსებობა კონკრეტულ სფეროში კონკრეტული ფაქტებით უნდა დაასაბუთონ. გასაკვირია, მაგრამ არც ამ კანონის ავტორებს, არც ბატონ ოთარ ზოიძეს ამგვარი დასაბუთება არ გააჩნიათ. თუ დისკრიმინაცია არ არსებობს, დამატებით კანონს, რომლის მოქმედების სფეროც განუსაზღვრელია, რატომ ვქმნით?

ანტიდისკრიმინაციული კანონის I მუხლში დეკლარირებულია კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, მიუხედევად მათ შორის არსებული სხვაობისა, რაც, ცხადია, კონსტიტუციით, ქვეყნის უმაღლესი კანონით, თავისთავად არის გარანტირებული. მაგრამ ამასთან ერთად ანტიდისკრიმინაციულ კანონში დამატებულია „სექსუალური ორიენტაცია“, „გენდერული იდენტობა და გამოხატვა“ და „ოჯახური მდგომარეობა“.

საპატრიარქომ ითხოვა ამ ტერმინთა განმარტება, რადგან ისინი კონსტიტუციაში არ არის შეტანილი. ამ მოთხოვნაზე პასუხი არ მიგვიღია. კითხვას გისვამთ: სქესი და გენდერი სინონიმებია? სქესი ორი არსებობს, – ეს ყველამ ვიცით, – და ორივეს მოქალაქეობრივი უფლებები კონსტიტუციით დაცულია; ხოლო გენდერი რამდენი არსებობს? და გენდერული იდენტობა რას გულისხმობს? შეიძლება აგვიხსნათ? ჩვენ ხომ „ბნელებს“ გვიწოდებთ და „მითების“ შემქმნელებს და ჩვენი აზრის გამოხატვის შეურაცხყოფას დისკრიმინაციად არ მიიჩნევთ. გაგვანათლეთ ამ საკითხებში. ან რას ნიშნავს „გენდერული იდენტობის გამოხატვა“? „ოჯახურ მდგომარეობასთან“ დაკავშირებით ბატონი ოთარ ზოიძე გვარწმუნებს, რომ „მითების საპირისპიროდ კანონი არ აღიარებს ერთსქესიანთა ქორწინებას“, ვეთანხმებით, ამას სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს. მაგრამ ესეც ცნობილია, რომ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება კანონით აღიარეს, მიუხედავად ხალხის წინააღმდეგობისა. საქართველოში ჯერ კიდევ არ უღიარებიათ. წინა ხელისუფლების 9 წლის განმავლობაში რამდენი ცვლილება შეიტანეს კონსტიტუციაში და, ზოგადად, საკანონმდებლო ბაზაში? – ჰკითხეთ ბატონ ვახტანგ ხმალაძეს. ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ ქორწინების კანონთან დაკავშირებით იგივე არ მოხდება და რა შეუშლის ხელს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანას, თუკი ხელისუფლების უმაღლესი პირები კონსტიტუციასაც კი ცვლიდნენ და ირგებდნენ? ჩვენ ხომ ამბიცია გვაქვს, ვიყოთ ყველაზე პროგრესულები?! აბორტის ლეგალიზაციის შემდეგ საქართველო პირველ ადგილზე იყო საბჭოთა კავშირში აბორტების რაოდენობით. 60 წლის განმავლობაში 4 მილიონზე მეტი ჩვილი ქართველი მოწყვიტეს. ქართველი ერის ასეთი გენოციდი მურვან-ყრუს, ბუდა-თურქისა და თემურ-ლენგის დროსაც არ ყოფილა. უსჯულოების გამრავლების ტენდენციების გაგრძელება ჩვენს ქვეყანაში მითი გგონიათ?

საპატრიარქოს მოთხოვნა, რომ ზოგადი ფორმულირება – „ოჯახური მდგომარეობა“ – ანტიდისკრიმინაციულ კანონში ასე განმარტებულიყო: „ოჯახური მდგომარეობა, რომელშიც იგულისხმება „ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცის და დედაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი“, მითად შეირაცხა, რადგან სამოქალაქო კოდექსი, ბატონ

ოთარ ზოიძის თქმით, ოჯახის ცნებას ისედაც აწესრიგებს. გვინდა გამეორება? სხვა დეფინიციებს, რომლებიც შეტანილია კონსტიტუციაში, ხომ იმეორებს ეს კანონი? ესეც რომ გავიმეოროთ, დანაშაული იქნება? თუ დარწმუნებული ხართ, რომ სამოქალაქო კოდექსის მუხლი ქორწინების შესახებ არასოდეს შეიცვლება? ზოგადი ფორმულირება: „ოჯახური მდგომარეობა“ განგებ დატოვებული ღია კარი ხომ არ არის, რომელშიც მომავალში სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შემდეგ ადვილად გაეტევა ერთსქესიანთა ქორწინება? ეს მოსაზრება მითია თუ გონივრული ეჭვი?

„არასრულწლოვანთა უზნეობისგან დაცვის ღონისძიებებს არეგულირებს კანონი მაუწყებლობის შესახებ“, – გვამშვიდებს ბატონი ოთარ ზოიძე. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე საქართველოს ცნობილ სატელევიზიო არხებზე არავის უნახავს ქალის სხეულის ფორმების იმიტაციით, ქალის კაბაში ჩაცმული მამაკაცები და პირიქით? ამ ქალ-კაცუნების და კაც-ქალუნების ტინგიცობა არ ნიშნავს ადამიანთა შორის სიყვარულისა და შვილიერებისათვის ღვთის მიერ შექმნილი ბუნებითი პოლარიზაციის, მამაკაცსა და დედაკაცს შორის განსხვავებულობის და ერთობის აბუჩად აგდებას? ამას ჰქვია „გენდერული იდენტობის გამოხატვა“? არა? – არ ვიცი, მაგრამ ამის შემყურე ბავშვის თვითიდენტობის ცნობიერება რომ ირყევა და ზიანდება, ეს ცხადია. ეს ხდება კანონის მიღებამდე! დაინტერესდით, კანონის მიღების შემდეგ რა ხდება იმ სატელევიზიო არხებზე!

გასული წლის 17 მაისს დღისით-მზისით, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰომოსექსუალიზმის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები ჟესტებით გამოხატავდნენ ერთსქესიანთა ორგაზმული ურთიერთობის ელემენტებს. ამ სკანდალური ქმედებით განრისხებული ადამიანები ყველა ტელეარხმა გალანძღა, მაგრამ არცერთმა არ აჩვენა მაპროვოცირებელი სცენები, რომლებმაც განარისხა ის ახალგაზრდები და მათ შორის ორი სასულიერო პირი. ასიდან ორმა ვერ შეიკავა თავი. მაუწყებლობის შესახებ კანონის კომპეტენციაში არ შედის ქუჩაში მომხდარი ინციდენტების შეზღუდვა, მაგრამ მოვლენების ობიექტურად გაშუქება ხომ ევალება მედიას? ამის სანაცვლოდ ხდება მოსახლეობის ზომბირება სოდომური ცოდვისადმი შემრიგებლური განწყობის შესაქმნელად. სამწუხაროა, რომ ბატონ ოთარ ზოიძეს, რომელსაც პირადი იურიდიული პრაქტიკა ჰქონდა და იცის, რომ კანონის კანონობა-უკანონობა დამოკიდებულია ძალაუფლების მქონე პირთა პოლიტიკურ ნებაზე, მაინც სჯერა კანონის იდეალური მოქმედებისა ბოლშევიკური რეჟიმით ზნეობრივად დაზიანებულ საზოგადოებაში. ხოლო ამ იდეალიზმისადმი კრიტიკულად განწყობილ მოსაზრებას, რომელიც კონკრეტული ფაქტებით აპელირებს, მითებს უწოდებს. ადამიანების მიერ შექმნილ კანონებს ისევ ადამიანები ცვლიან. უცვლელია მხოლოდ ღვთის კანონები, მაგრამ საერო ხელისუფლება ღვთის კანონებს არ ითვალისწინებს. კანონთა ცვალებადობის გარდა, არის კანონთა სხვადასხვაგვარად წაკითხვის ცნობილი პრაქტიკა. ბატონი ოთარ ზოიძე განიხილავს ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-5 მუხლს და წინასწარ გვარწმუნებს, რომ ამ მუხლით „<u>პირდაპირაა დადგენილი</u>“ რელიგიური უფლებების უპირატესობა უმცირესობების უფლებების მიმართ“. ასე რომ იყოს, ბატონ ოთარს გამოუჩნდებოდა ოპონენტი, რომელიც მას ბრალს დასდებდა უმცირესობის დისკრიმინაციაში. კანონი არანაირ უპირატესობას არ ანიჭებს რელიგიურ ორგანიზაციებს. პირიქით, კანონი გვამშვიდებს, რომ არ გულისხმობს „რელიგიური გაერთიანებების უფლებების... მათ შორის რელიგიური მსახურების უფლების შეზღუდვას“, მაგრამ აქვე ამატებს: „იმ პირობით, რომ არ არღვევს სხვათა უფლებებს“. სექსუალურ „უმცირესობათა უფლებები“ (სოდომური ცოდვის საჯაროდ გამოხატვის

„უფლებები“), და რელიგიურ გაერთიანებათა უფლებები როგორც იკვეთება დღეს, ასევე გადაიკვეთება ახლო მომავალშიც. ამ შემთხვევაში, მათ შორის წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტის გამო ხელისუფლება რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს წინასწარ უცნობია, ვარაუდის სფეროა. ჩვენი წერილის შესავალ ნაწილში შემთხვევით არ გავიხსენეთ მსოფლიოში უსჯულოების გამრავლების და ექსპანსიის პროცესების ტენდენციები. რა უფრო ჰგავს მითს – საქართველო რომ აჰყვება ამ ტენდენციებს, თუ ის, რომ მათ წნეხს გაუძლებს და შეინარჩუნებს დამოუკიდებელ-ზნეობრივ პოზიციას?

კანონის მე-5 მუხლში ნახსენები კონსტიტუციური შეთანხმება დღემდე არ არის ბოლომდე მიყვანილი. მას თან არ ახლავს ამოქმედების მექანიზმი, ანუ პრაქტიკულად არარეალიზებადია. მისი რეალიზება ყოველ ახალ შემთხვევაში ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე რჩება დამოკიდებული – ეს ბატონმა ოთარმა კარგად იცის, მაგრამ ამჯერად მიაჩნია, რომ ამაშია „რელიგიური უფლებების უპირატესობა“. პატრიარქის მიმართვა, არ ეჩქარათ კანონის მიღება, განემარტათ ზოგიერთი ტერმინი, ჩატარებულიყო საზოგადო განხილვა, იგნორირებულ იქნა. ასეთია ქრისტიანთა უფლებების უპირატესობა!

კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს მისი მოქმედების სფეროს. როდესაც კანონი პროექტის სახით იყო წარმოდგენილი, მისი მოქმედების სფერო დაკონკრეტებული იყო და იწყებოდა სკოლამდელი ასაკისა და სასკოლო დაწესებულებებით. საზოგადოებამ გააპროტესტა და გვახარეს, რომ ეს სიტყვები ამოღებულია კანონიდან. ამის სანაცვლოდ ჩაიწერა „ამ კანონით გათვალისიწნებული მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ~~ყველა სფეროში~~“... „ყველა სფეროში“ განუსაზღვრელი ცნებაა და ნიშნავს, რომ შენიღბულად სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებსაც მოიცავს. ასეთია რეალობა და ამის არდანახვა არის თავის მოტყუება, ხოლო ოპონენტების მოსაზრების მითად შერაცხვა ცილისწამებაა.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-4 მუხლის ბ ბუნქტში ვკითხულობთ: „ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია... <u>სავარაუდო</u> დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება“. გარყვნილი ცხოვრებით დაზიანებული გონება რას ივარაუდებს, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მისი ვარაუდის გამო უდანაშაულო ადამიანმა თავი უნდა იმართლოს დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და მომავალში იფიქროს სიტყვით, ინტონაციით, მოძრაობით თუ მიმიკით არ მისცეს საბაბი, რომელიც საჩივრის საფუძველი გახდება. ეს არ იქნება დისკრიმინაცია? ვარაუდის დონეზე ადამიანის დასჯა სამართლიანია? როგორ ფიქრობთ, ამ მუხლის კრიტიკა უსაფუძვლოა და მითად უნდა შეირაცხოს? ჩვენ ინკვიზიციის თუ ბოლშევიკური ტერორის დემოკრატიული ეპოქაში ხომ არ ვცხოვრობთ?

გთხოვთ, აგვიხსნათ, ეს მუხლი როგორ უნდა გავიგოთ. გვესმის, რომ ამ მუხლით შეიძლება ისარგებლონ არა მარტო სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ამით ამ მუხლის შინაარსი არ შეიცვლება, იგი დისკრიმინაციის საბაბი გახდება. ბატონი ოთარი თავისი წერილის თითქმის ნახევარს უთმობს იმ კანონების ჩამონათვალს, რომლებიც არ შეცვლილა, ჯერ არ შეცვლილა. კანონების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. კარგი იქნებოდა, რომ მას განეხილა, კანონის მიღმა რეალურად რა ხდება საზოგადოებაში. პირველ კლასელი ბავშვების ლექსიკონში გაჩნდა სიტყვები: „შენ ცისფერი ხარ“, „შენ კი გეი ხარ“, – ამ სიტყვების მნიშვნელობა, ცხადია, მათ არ ესმით, მაგრამ ცოტა ხანში გაიგებენ, შეეჩვევიან და საზოგადოებაში ზნეობრივი ბარიერი თანდათანობით უფრო დაიწევს. რატომ აჩქარებთ ამ პროცესს?

ვეთანხმები ბატონ ოთარს, რომ „უნდა გძულდეს ცოდვა და არა ცოდვის ჩამდენი ადამიანი“. ცოდვა მარტო სექსუალური გადახრები ხომ არ არის, ცოდვაა აბორტი, ლოთობა, ნარკომანია, ქურდობა, ყაჩაღობა, ცილისწამება, ანგარება, მექრთამეობა, მრუშობა. ჩვენ გვეცოდება ამ ცოდვის ჩამდენი ადამიანები, გვინდა მათი შველა. მათი ცოდვების პოპულარიზაციას ვინ ეწევა? მით უმეტეს, ცოდვების დაკანონებას? პირიქით, ვებრძვით ქურდულ მენტალობას, კორუფციას, მკურნალობას ვთავაზობთ ლოთებს, ნარკომანებს. მრუშობის სხვადასხვა ფორმების მიმართ კი შემწყნარებლები ვართ?! ანტიდისკრიმინაციული კანონი რატომღაც მარტო სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვას გულისხმობს, რადგან მათ გარდა არავინ ჩივის, თუმცა არც მათი მხრიდან განცხადებულა საჩივარი. რაშია საქმე? რატომ ენიჭება ასეთი უპირატესობა ღვთის საძულველი ცოდვის ჩამდენ ადამიანებს სხვა ცოდვილებთან შედარებით? ვეთანხმები ბატონ ოთარს, რომ ცოდვა არ არის სამართლებრივი კატეგორია და „დაუშვებელია ცოდვის კრიმინალიზაცია მანამდე, სანამ ცოდვა არ ხელყოფს სხვათა უფლებებს.“ კანონი მშობლის უფლებას ართმევს ლოთს, ნარკომანს, რადგან ზიანდება შვილი. გეკითხებით, გარყვნილი ადამიანის ქმედების საჯარო პროპაგანდით მისი შვილი და სხვა მოზარდები არ ზიანდებიან? სექსუალური უმცირესობების მიერ ცოდვის ჩადენის „უფლების“ აღიარებას და ამა თუ იმ სახით მისი გამოხატვისადმი ტოლერანტობის დაკანონება სხვა ცოდვებთან შედარებით არ ნიშნავს პრივილეგირებული სტატუსის მინიჭებას? ეს არ აზიანებს საზოგადოების ზნეობრივ გარემოს?

სამწუხაროდ, დღეს მთელი რიგი ცნებების აღრევა ხდება. ერთ-ერთი მათგანი არის „ადამიანის უფლების“ გაიგივება თვითნებობასთან. თვითნებობა და უფლება არ არის სინონიმები. უფლება არის ღვთისაგან მონიჭებული ცხოვრების სასიცოცხლო პირობა: სიყვარულის, ოჯახის შექმნის, შრომის, ნიჭისა და თავისუფალი ნების გამოვლინების თავის თავისა და საზოგადებისთვის სასიკეთოდ. თვითნებობა არის ადამიანის მიერ თავისუფალი ნების ეგოცენტრული გამოვლინება თავის თავისა და საზოგადოებისთვის საზიანოდ. პავლე მოციქული ამბობს: „ყოველივე შესაძლებელია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი არ არის სასიკეთო; ყველაფერი შესაძლებლია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი არ მზრდის მე.“ რაიმეს კეთების <u>შესაძლებლობა</u> და <u>უფლება</u> არ არის სინონიმები. დაცემული ბუნების შესაძლებლობა მკვლელობას და თვითმკვლელობასაც მოიცავს. ბატონი ოთარი ამ შემთხვევაში ზღვარს სხვა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ან ზიანის მიყენების ნიშნით ატარებს. 3-4 წლის ბავშვი დედის გინებას რომ ისმენს და იმეორებს, ზიანდება თუ არა? ან იგივე ბავშვი რომ ისმენს უფროსებისგან, ან ტელევიზორიდან სექსუალურ უმცირესობათა, როგორც ნორმალურ და ბუნებრივ მოვლენათა შესახებ ინფორმაციას, არ ზიანდება მისი ცნობიერება? სად გადის ზღვარი? ბავშვის თავისუფლება არ იზღუდება, მაგრამ ცნობიერება ხომ ზიანდება? მოქალაქეობრივი უფლება არ გულისხმობს ცოდვის უფლებას. ცოდვილი კაცის მიღება ისეთად, როგორიც არის, მის მიმართ ტოლერანტობა ქრისტიანობაში გულისხმობს სულიერ თანაგრძნობას, ცოდვის მხილებას და სინანულისკენ მოწოდებას: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულია სასუფეველი ცათა“; ზრუნვას მისი ხსნისათვის და ერის კეთილდღეობისთვის. მაცხოვარი ცოდვილ დედაკაცს მისი სინანულის შესაბამისად შენდობას აძლევს და დასძენს: „წადი და ნუღარ სცოდავ!“ – ამაში მდგომარეობს მოყვასისადმი სიყვარული და არა გულგრილ ტოლერანტობაში: „რაც გინდა გიქნია, ოღონდ მე ნუ შემეხები.“

ანტიდისკრიმინაციულ კანონში და იმ კანონებში, რომლებიც ბატონ ოთარს მოჰყავს, გაურკვეველია მორალის და ზნეობის დეფინიციები. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ რამდენიმე პუნქტი. ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღრავს რა „პირდაპირი დისკრიმინაციის“ ცნებას, ამბობს, რომ „არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც <u>საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო</u>, პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით“. ამით ეს მუხლი ამტკიცებს კანონთა შორის დისპროპორციას. ანდისკრიმინაციული კანონი მე-2 პუნქტის მიხედვით უფრო ფართოა, ვიდრე საქართველოში არსებული კანონმდებლობა, რადგან საქართველოს ყველა მოქალაქისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები არ იტევს იმ „რომელიმე ნიშნებს, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული კანონის პირველი მუხლით არის გათვალისწინებული“. რომელია ეს „ნიშნები? ისინი, რომლებიც არ არის კონსტიტუციაში, რომელთა განმარტებაც ითხოვა პატრიარქმა და ჩვენც რომ ვახსენეთ წერილის დასაწყისში: „ოჯახური მდგომარეობა“, „სექსუალური ორიენტაცია“, „გენდერული ინდეტობა და გამოხატვა“. მე-2 პუნქტი უშვებს ერთ გამონაკლისს: არახელსაყრელი მდგომარეობა დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ „ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ჩნდება უამრავი კითხვა: „კანონით განსაზღვრული მიზანი“ რომელია? „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა“? კანონს თავის პრეამბულაში უნდა დაეკონკრეტებინა, რა ან რომელი ფორმის დისკრიმინაცია არსებობს საქართველოში, „ობიექტური და გონივრული გამართლება“ ვინ და რა კრიტერიუმით უნდა განსაზღვროს? რა არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – პიროვნული მოქალაქეობრივი უფლებების და კერძო საკუთრების თანაბარი დაცვა? „საზოგადოებრივი წესრიგი“ და „ზნეობა“ თანაბარი ცნებებია თუ ავსებენ ერთმანეთს? „ზნეობის“ საზღვრები იტევს „არატრადიციული სექსუალურ ორიენტაციას“ თუ არა? თუ ვერ იტევს, მაშინ რატომ ანიჭებთ თანაბარ უფლებებს ბუნებრივ სქესობრივ ურთთიერთობებთან? თუ იტევს, მაშინ სად გადის ზნეობის ზღვარი?

სამი წლის წინ საქართველოში „დემოკრატიულ საზოგადოებაში „აუცილებელი“, „ობიექტურად და გონივრულად გამართლებული“ იყო 25 ათასზე მეტი ადამიანის ყოფნა პატიმრობაში. ხელისუფლება შეიცვალა და ნახევარზე მეტი პატიმარი გათავისუფლდა. აღმოჩნდა, რომ მათი ყოფნა საპყრობილეში აღარ იყო „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „აუცილებელი“, „ობიექტური და გონივრული“.

წინა ხელისუფლების დროსაც იყო დეკლარირებული ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებების და კერძო საკუთრების დაცვა, მაგრამ გადახრისგან ამან ვერ დაგვიცვა. ეხლა სხვა უკიდურესობისკენ ხომ არ ვიხრებით? ანტიდისკიმინაციული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს „ირიბი დისკრიმინაციის“ ცნებას: ეს „არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პერსპექტივა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს“... და ამის შემდეგ წერია იგივე, რაც მე-2 პუნქტში. ჩვენი კომენტარიც იგივე იქნება. გვითხარით, ზნეობრივია თუ არა ბუნებრივად ჯანმრთელი ადამიანის გაიგივება ფსიქოფიზიოლოგიური პათოლოგიისა თუ ანომალიის მატარებელთან და ამ გაიგივების დაკანონების საშუალებით გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობის პოპულარიზაცია? საქართველოში ეს უკვე პრაქტიკულად ხდება და ნამდვილად არ

არის მითი. სამოქალაქო კანონებით ძალოვანი სტრუქტურების დახმარებით საზოგადოებრივი წესრიგი შეიძლება დაიცვათ, მაგრამ ზნეობას არც კანონები იცავენ (რადგან ამ ცნების დეფინიცია კანონით არ არის განსაზღვრული) და არც მით უმეტეს – ძალოვნები. ბატონი ოთარი კი გვარწმუნებს, რომ „ანტიდისკრიმინაციული კანონი, გავრცელებული მითების საწინააღმდეგოდ, არ შეიცავს რაიმე ამორალურს, არც „ორმაგ მორალს, არც რაიმეს არაქრისტიანულს“. კარგი იქნებოდა, რომ ბატონ ოთარს აქვე შეედარებინა თავისი შეხედულება წმიდა წერილთან, ღვთის სჯულთან, წინასწარმეტყველთა სიტყვებთან, მოციქულთა დარიგებებთან, საეკლესიო კრებების დადგენილებებთან, რუის-ურბნისის კრების ცნობილ კანონთან. ამის სანაცვლოდ, სამწუხაროდ, ბატონი ოთარი გვაბრალებს იმას, რაც აზრად არ მოგვსვლია: „ამ კანონის მოწინააღმდეგეების ლოგიკით, თუ დაშვებული იქნება სექსუმცირესობების დისკრიმინაცია..., აუცილებელი გახდება ანკეტაში (თუ სივი-ში) გრაფის გაჩენა სექსუალური ორიენტაციის შესახებ...“ აი, ეს მართლა მითია! მსგავსი რამ ბოლშევიკური რეჟიმის დროსაც არ ყოფილა. მოქალაქეობრივ უფლებაში არ იგულისხმება ცოდვის პოპულარიზაცია, ხოლო ეს კანონი ხელშემწყობ პირობებს უქმნის ცოდვის პოპულარიზაციას. ამაშია ამ კანონის შეცდომა, რომ არ ვთქვათ – დანაშაული.

დაბოლოს, მამა ალექსანდრე შმემანის სიტყვებთან დაკავშირებით: ოთარ, მამა ალექსანდრე კეთილგონიერი და ზნეობრივი ადამიანია, მაგრამ იგი არის ზოგადად ამერიკული ცნობიერების მატარებელი პიროვნება, ამიტომ მისი ხედვა ზოგიერთ საკითხში ამით არის შეზღუდული, პროტესტანტულია და აცდენილია მოციქულებრივ და პატრისტიკულ ცნობიერებას. „რელიგიური თავისუფლების... იდეალი“ ამერიკული იდეაა და არა სახარებისეული. სახარებისეული იდეალი არის განთავისუფლება ამ სოფლისაგან. „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ...“ (ინ.8,32). „ყოველი, რომელიც სჩადის ცოდვას, მონაა ცოდვისა... თუ ძე განგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით“ (ინ.8,34;36). გაიხსენეთ მაცხოვრის სიტყვები მოციქულების მიმართ: „ამ სოფლისაგანნი არა ხართ, არამედ მე გამოგირჩიეთ თქვენ ამ სოფლისგან. ამის გამო სძულხართ თქვენ ამ სოფელს“ (ინ.15,19). „ჩემ მიერ მშვიდობა გქონდეთ; ამ სოფელში გასაჭირი გაქვთ, მაგრამ გამხნევდით, რადგან მე ვძლიე ამ სოფელს“ (ინ.16,35). ქრისტიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვის ფორმას, არც იმას, ვინ არის მართვის სათავეში. ქრისტიანის მიზანია, პავლე მოციქულის სიტყვის თანახმად, შეიძინოს „გონება ქრისტესი“, რომ ქრისტე იყოს ჩვენში და ჩვენ – ქრისტეში. „სამყაროს ამბოხება ეკლესიის წინააღმდეგ“ გამოწვეულია არა სახელმწიფოს მიმართ რაიმე დამოკიდებულებით, არამედ იმით, რომ სეკულარიზაციის პროცესი ბოლო ჟამს ღვთისგან არის დაშვებული. „უსჯულოების გამრავლებით გაცივდება სიყვარული მრავალთა.“ „იქადაგება ეს სახარება სასუფევლისა მთელ ქვეყანაზე დასამოწმებლად ყველა წარმართისათვის და მაშინ მოვა აღსასრული“ (მთ.24,12,14). გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირების პოპულარიზაცია, რასაც ხელს უწყობს ანტიდისკრიმინაციული კანონი, ამ დროის ერთ-ერთი ნიშანია. ხოლო ჩვენი, როგორც ქრისტიანების, პოზიცია ის არის, რომ არ ვიყოთ მონაწილენი უსჯულოების გამრავლების ხელშემწყობი პირობების შექმნისა.

პატივისცემით, + იოანე